„ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“

სტრატეგიული განვითარების გეგმა

(09.2023-08.2030)

შინაარსი

შესავალი 3

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია 5

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები 6

სტრატეგიული მიზნები 7

- სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის კურიკულუმის განვითარება 7
- სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურის განვითარება 7
- სტრატეგიული მიზანი 3. სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება 8
- სტრატეგიული მიზანი 4. ინტერნაციონალიზაციის გაზრდა 9

სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება 10

შესავალი

დოკუმენტი წარმოადგენს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტს. მისი შემუშავებით, სკოლა მიზნად ისახავს შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისის გაუმჯობესებას და საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლის გაზრდას.

„ბათუმის ქართულ-ამერიკულმა სკოლამ“ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა დაიწყო 2018-2019 სასწავლო წლიდან. სკოლა დღეისათვის ხუთასზე მეტ მოსწავლეს უწევს საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლაში შექმნილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა და დასაქმებულია ასზე მეტი თანამშრომელი, მათ შორის მაღალკვალიფიციური მასწავლებლები, რომელთა საქმიანობის შედეგები გამოხატულია კურსდამთავრებულთა შედეგებით.

უკვე დღეისათვის სკოლის კურსდამთავრებულები წარმოდგენილები არიან საქართველოს და საზღვაგარეთის რეიტინგულ უნივერსიტეტებში. ყოველწლიურად სკოლაში ჩარიცხვის მსურველთა მომართვიანობის მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ სკოლის სერვისზე მოთხოვნა მუდმივად მზარდია, რაც განაპირობებს სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდის აუცილებლობას.

სკოლა განთავსებულია 12378.00 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე, შენობა-ნაგებობების ჯამური ფართი შეადგენს 4600-ზე მეტს. გარდა სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურისა, სკოლაში არის თავისუფალი შიდა და გარე სარეკრეაციო სივრცეები, რაც აუცილებელია მოზარდის სრულფასოვანი განვითარებისათვის.

სკოლა ფლობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სპორტულ დარბაზს, რაც ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე მრავალფეროვანი კულუბების ჩამოყალიბებას. სკოლაში ხშირად ეწყობა სპორტული და სხვა სახის პროექტები, საზაფხულო სკოლები, ასევე, სკოლა პერიოდულად მასპინძლობს საერთაშორისო ბანაკებს.

სკოლაში პრიორიტეტულია ყველა საგნის მაღალ დონეზე სწავლება, ამასთან, სკოლის მისიის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის შესწავლას, რამაც კურსდამთავრებულს უნდა მისცეს შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში სწავლა განაგრძოს საზღვარგარეთის უნივერსიტეტში. ამ მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების დამატებით მომზადებას საერთაშორისო გამოცდებისათვის და აფინანსებს მათ საერთაშორისო გამოცდაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. გამორჩეული ყურადღება ეთმობა, ასევე, მათემატიკის სწავლებას, რაც მოსწავლეს უვითარებს ლოგიკურ აზროვნებას და აძლევს საჭირო ფუნდამენტს სხვადასხვა მიმართულებით წარმატების მისაღწევად. დამატებით, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შეეთავაზებათ ლოგიკის და წიგნიერების კურსი, გაზრდილი საათებით არის წარმოდგენილი სახელმწიფო ენის საგაკვეთილო საათები, რამაც ხელს უწყობს მოსწავლეებში საჭირო ფუნდამენტის ჩამოყალიბებას. სკოლის

პროგრამა ყოველწლიურად ახლდება გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით.

სტრატეგიული დაგეგმვის მომდევნო ეტაპზე, სხვა ძირითად საკითხებთან ერთად, სკოლა აქცენტს აკეთებს ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სკოლაში საერთაშორისო დონეზე არსებული თანამედროვე მიღწევების გამოყენებას და ასევე, მოსწავლეებს - საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად.

დოკუმენტი დაფუძნებულია სკოლის შესაძლებლობების, ასევე, კონკურენტული გამოწვევებისა და ცვალებადი გარემოს პროგნოზირებად ანალიზზე, განსაზღვრავს სკოლის მისიისა და ხედვიდან გამომდინარე სტრატეგიული განვითარების მიზნებს და მათი მიღწევის საშუალებებს.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტრატეგია ეფუძნება სიტუაციურ მიმოზილვას და SWOT ანალიზის შედეგებს. ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2018-2019 სასწავლო წლიდან ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლა მუდმივად უზრუნველყოფს მომხმარებლების კმაყოფილების შესწავლას და რესურსებს და სერვისებს ავითარებს საჭიროების შესაბამისად.

სტრატეგიის შემუშავების მიზნით, გაანალიზდა სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და განხორციელების რისკები, რაც შედეგების სახით წარმოდგენილია ცხრილში.

Strengths	Opportunities
✓ სწავლების გამოცდილი პრაქტიკა; ✓ მრავალფეროვანი დამატებითი სერვისები; ✓ თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა; ✓ პოზიტიური ორგანიზაციული კულტურა.	✓ უცხოელ პარტნიორებთან საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობები სკოლის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით; ✓ საერთაშორისო პროგრამის განვითარების შესაძლებლობა.
Weaknesses	**Threats**
✓ სკოლის არსებული მატერიალური რესურსით მოსწავლეთა შეზღუდული რაოდენობის მიღების შესაძლებლობა.	✓ კონკურენციის მაღალი ხარისხი; ✓ სერვისის თვითღირებულების გათვალისწინებით, შესაძლო ეკონომიკური ცვლილებების ფონზე გადახდისუნარიანობა.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის მისიაა აღზარდოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებული, სამართლიანი, პასუხისმგებლიანი და მაღალი ადამიანური ღირებულებების მქონე მსოფლიო მოქალაქე.

სკოლის გრძელვადიანი ხედვის (2030) შესაბამისად, იგი არის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით და ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით, უზრუნველყოფილია ყველა პირობა მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისათვის, ასევე, მათი ემოციური და ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის.

ორგანიზაციის ღირებულებები:

- განვითარებაზე ორიენტირებულობა
- გუნდურობა
- სამართლიანობა
- გამჭვირვალობა
- კეთილსინდისიერება

სტრატეგიული მიზნები

სკოლის გრძელვადიანი სტრატეგია აერთიანებს ოთხ კომპლექსურ მიზანს, რომელთა მეშვეობით, სკოლა მიზნად ისახავს სკოლის მისიის შესრულებას და ხედვასთან დაახლოებას.

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის კურიკულუმის განვითარება

სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია სწავლების კონსტრუქტივიზტულ პარადიგმაზე. სკოლა, როგორც ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას ეყრდნობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნულ სასწავლო გეგმას. ამასთან, აქტიურად სწავლობს ბათუმში მცხოვრები მოსწავლეების ინტერესებს, სკოლის მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას ითვალისწინებს არსებულ ტენდენციებს. სკოლა ორიენტირებულია სფეროს აქტუალური პრაქტიკის, თანამედროვე მიღწევების შესწავლასა და სასწავლო პროცესში დანერგვაზე. რეფლექსია სკოლის ყოველდღიურობის ნაწილია მოსწავლის, მასწავლებლის და მენეჯმენტის დონეზე.

სკოლას მოდიფიცირებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადე, რაც ემსახურება სკოლის მისიის მიღწევას და მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებას.

გარდა სავალდებულო საგნებისა, სკოლას აქვს მრავალფეროვანი დამატებითი სერვისები, რაც წლების მანძილზე იხვეწებოდა და იცვლებოდა. სკოლის პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება დამატებითი სერვისებით კმაყოფილების კვლევა.

სტრატეგიული მიზანი აერთიანებს ორ ამოცანას:

1. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი კურიკულუმების განვითარება;

2. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება.

განხორციელების ვადა/პერიოდულობა: ყოველწლიურად.

სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურის განვითარება

სკოლის კონტინგენტის ზრდის და დაინტერესებული მშობლების მომართვიანობის მაჩვენებლის გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობას.

სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, სკოლა გეგმავს, ფართი შესაბამისობაში მოიყვანოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან და მოიპოვოს შესაბამის ფართზე საქმიანობის უფლება.

სტრატეგიული მიზანი აერთიანებს შემდეგ ამოცანებს:

1. სკოლის ახალი კამპუსის მშენებლობა;
2. აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა;
3. სკოლის ახალი კამპუსის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

განხორციელების სავარაუდო პერიოდი (2025-2026 წ.).

სტრატეგიული მიზანი 3. სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს სკოლის ადამიანური კაპიტალის მუდმივ განვითარებას. სკოლაში დაგეგმილია თანამშრომელთა მუშაობის შეფასების სისტემა, რომლის შესაბამისადაც მოწმდება სამუშაო მოვალეობების/სამუშაო ფუნქციების შესრულების ხარისხი. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმს, რომლის მიხედვითაც განხორციელდება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება (როგორც მასწავლებლების, ისე - ადმინისტრაციული პერსონალის).

პროცესების ეფექტური მართვისათვის, სკოლა გეგმავს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვას, რისთვისაც აწარმოებს მოლაპარაკებას სერვისის პროვაიდერ ორგანიზაციებთან. პროცესი მოიცავს ტექნიკურ მხარდაჭერას, თანამშრომელთა სწავლებას და დოკუმენტბრუნვის მარეგულირებელი შიდასასკოლო რეგულაციების რევიზიასა და განახლებას.

ასევე, სკოლაში ყოველწლიურად განახორციელდება თვითშეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შედეგების ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოფილი იქნება გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინება ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში.

სკოლის ახალი კამპუსის აშენების შემდეგ დაგეგმილია მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდა, რისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზაციულ დონეზე საჭირო ცვლილებების გატარება (რაც გამოკვეთილი საჭიროების გათვალისწინებით, შესაძლოა გულისხმობდეს სკოლის რეორგანიზაციას და სტრუქტურის ცვლილებას, ადმინისტრაციული წარმოებისათვის სათანადო მზაობას და ა.შ.).

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია ოთხი ამოცანა:

1. ადამიანური რესურსის განვითარება (ვადა/პერიოდულობა: ყოველწლიური);

2. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვა (2023-2024 სასწავლო წელი);

3. თვითშეფასების შედეგებზე რეაგირება (პროცესის პერიოდულობა: ყოველწლიური);

4. მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდა (განხორციელების პერიოდი: 2025-2026 სასწავლო წელი).

სტრატეგიული მიზანი 4. ინტერნაციონალიზაციის გაზრდა

სკოლა ორიენტირებულია საერთაშორისო თანამედროვე მიღწევების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში, საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებასა და საერთაშორისო პროგრამის დანერგვაზე.

სკოლის წარმომადგენელი ინტენსიურად არის ჩართული საერთაშორისო უნივერსიტეტებთან შეხვედრებში, სკოლის მოსწავლეების კონსულტირების მიზნით.

სკოლა დამატებითი მომსახურების სახით ნერგავს უცხოენოვან სასწავლო კურსებს. პირველ ეტაპზე - მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, რაც მომდევნო წლებში ეტაპობრივად დაგეგმილია ყველა კლასის დონეზე.

საერთაშორისო პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში სოკლა გეგმავს, საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ისეთი სასწავლო კურსების შეთავაზებას, რომელთა შესწავლის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში მოსწავლეებს უღიარდებათ გავლილი კურსები და კრედიტები.

ასევე, დაინტერესებული პირების მომართვიანობის გათვალისწინებით, დაგეგმილია უცხოური, საერთაშორისო პროგრამის დანერგვა სკოლის ბაზაზე.

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია სამი სტრატეგიული მიზანი:

1. საერთაშორისო პროგრამის დანერგვა (განხორციელების პერიოდი: 2028-2029 სასწავლო წელი);
2. თანამშრომლობის დამყარება უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით (განხორციელების სავარაუდო პერიოდულობა: ყოველწლიური);
3. პერსონალისა და მოსწავლეების საერთაშორისო გაცვლების ორგანიზება (განხორციელების პერიოდი: 2026-2030 სასწავლო წელი).

სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიზნით, ეფექტური საშუალებაა სტრატეგიული განვითარებისა და საქმოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა, რომელიც სკოლამ შეიმუშავა.

მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ უზრუნველყოფილი იქნება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შუალედური, 6 თვის შემდეგ და შემაჯამებელი - დაგეგმილი წლის დასასრულს. შედეგების წარმოდგენა ხორციელდება შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშების სახით.

სამოქმედო გეგმის შეფასება და მონიტორინგი იმავდროულად წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასების საშუალებას. ამასთან, გრძელვადიანი სტრატეგიის დამტკიცებიდან სამი წლის შემდეგ უნდა განხორციელდეს შეფასება, რამდენად უზრუნველყოფს დასახული სტრატეგია სკოლის მისიის და ხედვის მიღწევას. ასევე, შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

შეფასების შედეგები სკოლას ეხმარება გააუმჯობესოს დაგეგმვის ხარისხი და შეფასების შედეგები გამოიყენოს შემდგომი განვითარებისთვის.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები საჯაროა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ცვლილებას საფუძვლად შეიძლება დაედოს; ზოგადი განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები; გეგმის შესრულების ანგარიში/ანგარიშში გამოკვეთილი გარემოებები, ასევე, სხვა ობიექტური გარემოებები.

სტრატეგიის დანერგვის გეგმა

სტრატეგიული მიზანი 1. სკოლის კურიკულუმის განვითარება		განხორციელების ვადები						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანა 1.	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი კურიკულუმების განვითარება							
ამოცანა 2.	დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება							

სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურის განვითარება		განხორციელების ვადები						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანა 1.	სკოლის ახალი კამპუსის მშენებლობა და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა							
ამოცანა 2.	აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა							
ამოცანა 3.	სკოლის ახალი კამპუსის ზოგადსაგანანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვება.							

სტრატეგიული მიზანი 3. სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება		განხორციელების ვადები						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანა 1.	ადამიანური რესურსის განვითარება							
ამოცანა 2.	დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვა							
ამოცანა 3.	ყოველწლიურ თვითშეფასების შედეგებზე რეაგირება							
ამოცანა 4.	მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდა							

სტრატეგიული მიზანი 4. ინტერნაციონალიზაცია		განხორციელების ვადები						
		2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030
ამოცანა 1.	საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა							
ამოცანა 2.	თანამშრომლობის დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით							
ამოცანა 3.	პერსონალისა და მოსწავლეების საერთაშორისო გაცვლების ორგანიზება							